ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№16 (50) ივლისი, 2006 წელი

ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ლედი ჩვენს მხარეში

ივლისის პირველ დეკადაში რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის გუბერნიას, კერძოდ კი ამბროლაურს საქართველოს პირველი ლედი, სანდრა რულოვისა-საკაშვილი სტუმრობდა. ცაგერის რაიონიდან 15 ქალბატონი (მრავალშვილიანი დედები, ჟურნალისტები, პედაგოგები) გავემგზავრეთ მასთან შესახვედრად. შეხვედრა ამბროლაურის მუზეუმში შედგა და საუბრის თემას ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემები შეადგენდა. შეხვედრაში აგრეთვე მონაწილეობდნენ ონის, ლენტეხისა და ამბროლაურის ქალთა დელეგაციები. საუბარმა მართლაც საქმიანი და შინაარსიანი ხასიათი მიიღო, ქალბატონი სანდრას გამოსვლამ კი განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი გამოიწვია. გარდა ჯანმრთელობის პრობლემებისა, ჩვენმა დელეგაციებმა სხვა პოლიტიკური და სოციალური საკითხებიც დააყენეს, რაზედაც პირველმა ლედიმ დახმარება აღგვიქვა.

შეხვედრის შემდეგ ქალბატონმა რულოვსმა თითოეულ მონაწილეს ცალ-ცალკე გვაჩუქა თავისი საკუთარი წიგნი „იდეალისტის ნაამბობი-საქართველოს პირველი ლედი“ თავისივე ავტობიოგრაფიით და არც ჩვენი შვილებისთვის დაუშურია საჩუქრები და სუვენირები.

შეხვედრის შემდეგ მისით მოხიბლულებს თითქოს გვეძნელებოდა მასთან განშორება.

მარინა სვანაძე

ლაშიჭალას თამამად შეგიძლიათ ესტუმროთ

საგაფხულო სეზონის დადგომისთანავე რაიონის მოსახლეობა „ჩვენებურ“ და განთქმულ კურორტ „ლაშიჭალას“ მოიძებნის ხოლმე. სამწუხაროდ, შარშანდელი სეზონი უგზოობისა და უშუქობის გამო, რომ იტყვიან მთლიანად ჩავარდა და ჩვენი გაზეთი ამჯერადაც დაინტერესდა „ლაშიჭალის“ მდგომარეობით?

ჩვენ მრავალ საკითხში გასარკვევად კურორტის დირექტორს მერაბ ბურჯალიანს მივმართეთ, რომლისგანაც შევიტყვეთ, რომ სეზონი ივნისის პირველი რიცხვებიდანვე გაიხსნა, რადგან მზადყოფნაში იყო ყველა ნიუანსი, რომელიც დამსვენებლის მისაღებადაა აუცილებელი–გზა, ელექტროენერგია, ბინები, აბანო, მედ. პერსონალი, კვების ბლოკი (მსურველთათვის).

ბინების ღირებულება საშუალოდ 2-4-6 ლარის ფარგლებში მერყეობს, ხოლო თუ სამჯერად კვებასაც მოისურვებთ, მისი ღირებულება 6 ლარს შეადგენს.

დამსვენებელი ბლომადაა, ღვთის ბოძებული სამკურნალო წყლები კი ისევ უხვად მოედინება. ესაა, ხელისშეწყობა და დახმარება ნამდვილად სჭირდება კურორტს, რათა იგი თანამედროვე სტანდარტების დონეს გაუთანაბრდეს.

მარინა სვანაძე

ინტერვიუ

სიახლეს აღარ წარმოადგენს განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებები. ამ დარგის მუდმივი რეორგანიზაცია იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფოსთვის ეს ერთადერთი პრიორიტეტული, დასაყრდენი ძალაა.

სულ ახლახანს ჩატარებული კონკურსის შედეგებით ცაგერის რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელად ახალგაზრდა ქალბატონი მაია ბენდელიანი დაინიშნა. რომელთანაც ჩვენი ინტერვიუ შედგა.

„ძირითადი ფუნქციაა: სკოლების კოორდინაცია, ნოვაციების დანერგვა და პროცესის მონიტორინგი“

პირველ რიგში მოგილოცავთ პროფესიულ წინსვლას. განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებით საზოგადოება დაინტერესებულია რას გვეტყოდით?

განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები სკოლას და საზოგადოებას უამრავ სიახლეებს სთავაზობს. მიმდინარე რეფორმებმა მნიშვნელოვან წარმატებას უკვე მიაღწიეს, ამის დადასტურებაა ეროვნული გამოცდების შედეგები. თუმცა რეფორმების პროცესს ამძიმებს ქვეყანაში რთული პოლიტიკური ვითარება, კონფლიქტები აფხაზეთში და „სამხ. ოსეთში“ აგრეთვე უმძიმესი დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი მაღალმთიან რეგიონებში.

უმნიშვნელოვანესი სიახლეა განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია, რას ნიშნავს სამინისტროს ჩაურევლობას სკოლის მართვაში, ეს გულისხმობს მართვის გადანაწილებას ქვედა რგოლებზე ანუ უშუალოდ სკოლებზე. რაც არ უნდა მჭიდრო კავშირები არსებობდეს სკოლასა და სამინისტროს შორის, სკოლის დირექტორი მეტად იმფორმირებულია, ვიდრე სამინისტროს ჩინოვნიკი იმ საკითხებზე, რომლის გადაჭრაც სკოლისათვის საციცოცხლოდ აუცილებელია.

სკოლის მართვის დეცენტრალიზაციაა, როცა სკოლა თავად იღებს გადაწყვეტილებას საკადრო თუ საფინანსო საკითხებზე. მაგრამ ამგვარ თავისუფლებას მეტი პასუხისგებლობაც აქვს. ამ პასუხისმგებლობას დირექტორთან ერთად სამეურვეოს საბჭოც გაინაწილებს. სწორედ სამეურვეო საბჭო იღებს ბიუჯეტს, სახავს სამოქმედო გეგმას და სტრატეგიას, აკონტროლებს დირექტორის საქმიანობას.

სკოლის უფლებების ზრდა ახალი ტენდენციაა განათლების სფეროში. ამიტომ სამეურვეო საბჭოს წევრები, მასწავლებლები, მშობლები სათანადოდ მომზადებას მოითხოვენ. მათ ხომ ჯერ არ იციან როგორ მიიღონ და დაამტკიცონ ბიუჯეტი. „მონაწილეობითი ბიუჯეტირება“ სკოლის ცხოვრებაში სიახლეა. ეს ტერმინი გულისხმობს მასწავლებლის და მშობლის ჩართვას ბიუჯეტის პროცესში, რათა უფრო გამჭვირვალე გახდეს თანხების მიზნობრივი განკარგვა და ხარჯვა.

ბევრი დირექტორის სურვილი იყო გადამზადებულიყო სკოლის მენეჯმენტის საკითხებში, რადგან სკოლების ახლებური მართვა, ახალ მეთოდებს და უნარს მოითხოვს. 5 დღიანი ტრენინგის კურსი კი 250 ლარამდე ღირს, დამეთანხმებით საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. დირექტორები რომ მომზადებულნი შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს. რესურსცენტრი გეგმავს თავისუფლების ინსტიტუტთან ერთად 10 დღიან, უფასო ტრენინგებს ცენტრალური სკოლების დირექტორებისათვის ჩვენს რეგიონში. ისინი შეისწავლიან „მონაწილეობითი ბიუჯეტის“ შექმნის, სამოქმედო გეგმების და სტრატეგიების დასახვის გზებს. გადამზადებული დირექტორები სხვა დირექტორებს გაუწევენ კონსულტაციებს და ცოდნას გაუზიარებენ.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონში არსებული 25 საჯარო სკოლიდან, მხოლოდ ერთს ყოფნის სრულყოფილად ვაუჩერული დაფინანსება და დანარჩენი სკოლების ბიუჯეტები დეფიციტურია, (მცირე კონტიგენტის გამო), ახლებური ბიუჯეტების პროცესს ყველა უნდა გაეცნოს, რადგან იმედია სახელმწიფო გაუზრდის ვაუჩერის ღირებულებას მძიმე სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის რეგიონების, სკოლებს, რომ მათაც შესძლონ სახელფასო ფონდის გარდა, სწავლებისათვის საჭირო ყოფითი პრობლემების გადაჭრა.

ბევრი დირექტორი ძველი ინერციით განაგრძობს მუშაობას. ელოდება „ზემოდან“ სიახლეებს. ეს დრო წავიდა. მხოლოდ მათ აქტიურობაზე მოიპოვებს სკოლა კომპიუტერულ ტექნიკას საგრანტო კონკურსში თუ თანხებს ახალი სპორტული მოედნებისთვის. აქტიურმა დირექტორებმა შეძლეს გაეკეთებინათ პროექტები ფონდ „ირმის ნახტომში“ და ფონდ „გიორგი ნიკოლაძეში“, რომელიც 5000 ლარიან პროექტს აფინანსებდა. იმედი გვაქვს ამ დირექტორების ძალისხმევა უკვალოდ არ ჩაივლის და მათი პროექტები წარმატებული იქნება, ამდენად ისინი ახალ სასწავლო წელს, საუკეთესო სიახლეებით შეეგებებიან.

გვ.2

ანონსი, ანონსი, ანონსი

სოფაჩიოლის, სათნეების, ლიბიბეგების ნათესაოები

გვ 3

...

სიახლეები ვეტერანთა დახმარების საქმეში

გვ. 4

...

ვინ იყო ხოლო ნეჩხეველი?

გვ. 5

...

ბოლოს ბენდელიანი: „უკანასკნელი მარცხოლა“

გვ. 6

„ძირითადი ფუნქციაა: სკოლების კოორდინაცია, ნოვაციების დანერგვა და პროცესის მონიტორინგი“



(დასასრული)

უმძიმესი მდგომარეობაა სოფელში დემოგრაფიული და სოციალური თვალსაზრისით. მიგრაციის პროცესი მოქმედებს სკოლებზე. თითქმის ბევრი დახურვის პირასაა...

ოპტიმიზაციის პირველი ეტაპი ცაგერის რაიონში დასრულდა (დაწყებითი სკოლები შეუერთდა ახლომდებარე სკოლებს) მეორე ეტაპი უახლოეს ხანში განხორციელდება. მეორე ეტაპი ითვალისწინებს რამდენიმე სკოლის ერთ ადმინისტრაციაში მოქცევას. მაგრამ ეს არ გამოიწვევს რომელიმე სოფელში სკოლის გაუქმებას. დაცული იქნება საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების“ შესახებ, სადაც მითითებულია, რომ ბავშვებისათვის არსებობდეს განათლების მიღების ხელმისაწვდომი გარემო, რაც შეიძლება ახლოს მისი საცხოვრებელი ადგილიდან.

ოპტიმიზაცია ჩვენს შორის რეგიონში მიდგომას მოითხოვს. რადგან უმძიმესი მდგომარეობაა სოფლებში დემოგრაფიული და სოციალ-ეკონომიური თვალსაზრისით. ზოგჯერ კარგი სკოლაც კი ვერ აჩერებს მიგრაციის პროცესს.

ოპტიმიზაცია ჩვენს რაიონში, ხეობების მიხედვით ჩატარდება. რადგან სკოლები მდ. ცხენისწყლის, მდ. ლაჯანურისა და მდ. რიონის ხეობებშია განლაგებული.;

რა სიახლეებია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმებში?

ეროვნული სასწავლო გეგმები რამდენიმე სიახლეს ითვალისწინებს. საგანმანათლებლო პროცესში მთავარი ადგილი მოსწავლესა და მიღებულ შედეგს უჭირავს. სწავლა არ ნიშნავს მარტო ინფორმაციის შეძენას, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებას და საკუთარი სწორი შეხედულებების, ანუ დამოკიდებულების განვითარებას. მთავარი ორიენტირია არა ცოდნის რაოდენობა, არამედ ხარისხი და როგორ შეუძლია ბავშვს მოღებული ცოდნის გამოყენება.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით სკოლებში ამ წელს პირველად შემოდის შეფასების 10 ქულიანი სისტემა. უკვე წელს გამოითვლება საფეხურის საერთო ნიშანი, რომელიც 5-ზე მაღალი უნდა იყოს, რომ მოსწავლემ შესძლოს ახალ ეტაპზე გადასვლა. საფეხურის საერთო ნიშანი გამოეთვლება იმ მოსწავლეებს, რომლებიც წელს მე-5, მე-7 და მე-10 კლასებში გადავიდნენ.

სარეაბილიტაციო პროგრამით „იაკობ გოგებაშვილი“, მიმდინარეობს ცაგერის №1 საშუალო სკოლის სარემონტო სამუშაოები. რეაბილიტირებული სკოლა, ახალ ავეჯს და ლაბორატორიების მოწყობილობებს მიიღებს. ახალ სასწავლო წელს იგი განახლებულ სასწავლო გარემოთი შეხვდება. მომავალ წელს სხვა სკოლების რეაბილიტაცია დაიგეგმება და რამდენიმე წელში საქართველოს ყველა სკოლა აღდგება.

რაიონის 2007 წლის ბიუჯეტში სკოლების რემონტისათვის 100 000 ლარია გათვალისწინებული. ეს თანხა ალბათ სულზე მიუსწრებს ზოგიერთ ავარიულ სკოლას.

საგრანტო კონკურსში გამარჯვებული სკოლების დირექციებმა, უნდა უზრუნველყონ კომპიუტერული ტექნიკის სათანადო დაცვა, მათ შენახვაზე პასუხისმგებლობა დირექტორს დაეკისრება, ამ ტექნიკას თავისებური თავდაცვის ნიშნები გააჩნია, კომპიუტერს პროგრამის ლოგო აქვს და გრიფირებულია.

მომავალში იგეგმება პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდები. რას გვეტყოდით ამასთან დაკავშირებით?

რეფორმის ცენტრში მასწავლებელი დგას, ამიტომ მისი პროფესიული გადამზადება ძალიან მნიშვნელოვანია. კონცეფციის თანახმად, პროფესიული განვითარება უწყვეტი პროცესი იქნება. 2008 წ. ჩატარდება პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდები, რომელიც საკმაოდ რთული იქნება. ამ გამოცდით მასწავლებლები მოიპოვებენ პედაგოგობის უფლებას. პარალელურად უნდა გაიარონ სპეციალური ტრენინგები, რომ სწავლებისათვის საჭირო ყველა უნარი აითვისონ, რის შედეგადაც მასწავლებელი მოაგროვებს კრედიტებს (ქულებს), რაც მის ხელფასზე დადებითად იმოქმედებს.

რა სიტუაციაა სკოლამდელ დაწესებულებებში?

რთული მდგომარეობაა ბაგა-ბაღებში. ყველაზე დიდი პრობლემა ბავშვთა მცირე კონტიგენტია, შემდეგ კი შენობების მდგომარეობა, მატერიალური ბაზის სიმწირე. ალბათ ათწლეულებია ბაღის შენობებს კაპიტალური რემონტი არ ჩატარებიათ. ასეთ შენობებში რთულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. მცირე ბავშვთა რაოდენობა არ ამართლებს არსებულ საშტატო ერთეულებს, რაც გარდაუვალს ხდის რეორგანიზაციის პროცესს, რომლის პირობა იქნება სტანდარტთან მიახლოებული პირობების გათვალისწინება, მიუხედავად იმისა, რომ კანონი სკოლამდელი დაწესებულებების შესახებ არ არსებობს და მხოლოდ არსებობს კონცეფციის სამუშაო ვარიანტი.

ბაღის თანამშრომლებს გაუმართლებლად უმცირესი ხელფასი აქვთ, 15-20-25 ლარი, რაც ალბათ მომავალ წელს მინიმალური ხელფასის ოდენობის მიხედვით იქნება დადგენილი.

რა პრინციპით ხდება რესურსცენტრის ორგანიზაციის თანამშრომლთა შერჩევა და რა უფლება-მოვალეობა ეკისრებათ მათ?

სიახლეა რესურსცენტრის შექმნა. ეს თვისობრივად ახალი დაწესებულებაა. (სახელწოდება ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს მოიცავს). იგი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოა. მისი ფუნქციები არა სკოლების მართვაა, არამედ სკოლების კოორდინაცია, ნოვაციების დანერგვა და პროცესის მონიტორინგი (თვალყურის დევნება) რესურსცენტრმა კვალიფიციური დახმარება უნდა გაუწიოს სკოლებს. ამიტომ ამ დაწესებელებაში იგეგმება ახალი თანამშრომლების შესარჩევი კონკურსი. კონკურსანტებს მოეთხოვებათ უმაღლესი განათლება, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა და პიროვნულად უნდა იყვნენ გულღია, კომუნიკაბელური, სასიამოვნო ადამიანები, რომლებსაც ექნებათ სხვისი მოსმენის კულტურა, დარწმუნების უნარი. იმედია კონკურსი ასეთ ადამიანებს გამოავლენს და წარმატებასაც სწორედ ასეთი ადამიანები მოიპოვებენ.

როგორც ხედავთ, პრობლემები განათლების სისტემაში უამრავია, მაგრამ მიმდინარე, წარმატებული რეფორმები აძლევს საზოგადოებას იმედს, რომ სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს და გააკეთებს იმისათვის რომ ბავშვები კარგ გარემოში იზრდებოდნენ და ხარისხიანი განათლება მიიღონ. ისინი ხომ ქვეყნის მომავლის ბურჯები უნდა იყვნენ. მათ უნდა ააშენონ თავისუფალი, ძლიერი საქართველო. ამიტომაც აღიარებს სახელმწიფო განათლების სფეროს ერთ-ერთი პრიორიტეტურ დარგად, რადგან ეს ჩვენი მომავალია.

ეკა ყვირილიანი

რეზონანსი

«ეს იყო»

„ახალი ლეჩხუმის“ ივლისის ნომერში ძალზე აქტუალური მასალა დაიბეჭდა: „ეს იყო“... იმთავითვე ავტორის გვერდით დავდექი. მართლაც უნდა ვუშველოთ ამ საუკეთესო დასასვენებელ ადგილს, უნდა ვუშველოთ, სანამ მთლად არ გავერანებულა. აქ ხომ მთისა და ზღვის ჰაერის საუკეთესო შერწყმაა, განსაკუთრებით ბავშვების ჯანმრთელობისთვის აუცილებელი.

წელს ახალჭალაში საკმაოდ ბევრი დამსვენებელი-აო, ამბობენ, ეს სასიხარულოა, მაგრამ ძალზე პრიმიტიულ პირობებში იქნებიან თავის თავად.

გამოვაცხადოთ ახალჭალის ტერიტორია ნაკრძალად. იქნებ, ვინმე მადლიანმა იზრუნოს მის დაცვაზე, კეთილმოწყობაზე. და ჩვენ თითოეული გვერდში ამოვუდგებით ამ საშვილიშვილო საქმეს.

თ. ჯოვალიანი
სოფ. ზარაგულა.

...

წლების წინ ივლის-აგვისტო სექტემბერში ახალჭალა ვერ იტევდა დამსვენებლებს. გზაც ნორმალური გახლდათ და პირობები. მერე?_მერე ყველაფერი აირია და ახალჭალაც განადგურდა, გაიჩეხა.

მართლაც საჭიროა დავუბრუნოთ მას ძველი დიდება. იქნებ გამოჩნდეს ვინმე, ვინც გულთან მიიტანს ამ საშვილიშვილო საქმეს?

ქ. შაუბულიანი
სოფ. ქვედა ცაგერი

არა-ძალადობას!

„ახალი ლეჩხუმის“ მკითხველთათვის უცხო ალბად ნამდვილად არაა ის ფაქტი, რომ აგერ უკვე რამდენიმე წელია მხარეში ფუნქციონირებს ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი და შესაბამისად ცაგერის რაიონული ქვეკომიტეტი, რომლის ძირითად მიზანს შეადგენს ოჯახური ძალადობისაგან ვიხსნათ ადამიანები და მომავალი თაობა. ეს პროექტი ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით ხორციელდება.

ცაგერის რაიონული ქვეკომიტეტი, რომელიც ჩვენი საზოგადოების აქტიური ძალებითაა დაკომპლექტებული, პერიოდულად ახორციელებს ზემოაღნიშნულ პროექტს და ცდილობს სისტემური ხასიათი მიიღოს ძალადობის აკრძალვამ, მასთან ბრძოლამ, რადგან ჩვენს გვერდით მცხოვრები არა-ერთი ადამიანი გამხდარა ძალადობის მსხვერპლი. აღნიშნული პროექტის განხორციელებაში ქვეკომიტეტი ყოველდღიური კონტაქტით გრძნობს რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის მხარის კომიტეტისა და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელის ნიჭიერი პედიატრის სოფიკო შარაბიძის დახმარებასა და გვერდით დგომას.

სულ ახლახანს მხარეში, კერძოდ კი ამბროლაურში გაიხსნა კრიზისული ცენტრი (დირექტორი ს. შარაბიძე), სადაც ჩამოყალიბდა და ამუშავდა მულტიდისციპლინებული 2 ჯგუფი ექიმით, სოცმუშაკთა და იურისტით, რომლებიც უფასო დახმარებასა და კონსულტაციებს უწევს პაციენტებს, ცენტრალურ საავადმყოფოში, კერძოდ კი თერაპიულ განყოფილებაში 2 საწოლიანი პალატა ამუშავდა თავშესაფარისთვის, ხოლო ცხელ ხაზს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ 24 საათის განმავლობაში, სადაც პროექტის კომიტეტის ნაკრები მოგემსახურებათ.

ასე, რომ თუ კი ადგილი ექნება ოჯახური ძალადობის ფაქტებს, შეგიძლიათ აკრიფოთ ტელ: 2-19-26 ან მიაკითხოთ მისამართზე. ამბროლაური, ბრატისლავა რაჭის ქ. №7, „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის კომიტეტი.

მარინა სვანიძე
ცაგერის ქვეკომიტეტის
თავმჯდომარე

სიყვარულის, სათნოების, ლმობიერების ნავთსაყუდელი

„ნაშრომი ნაყოფთა შენთა ჰსჭამო შენ, ნეტარ იყო და კეთილი გეყოს შენ—ცოლი შენი. ვითარაცა ვენახი მსხმო კიდეთა სახლისა შენისთანა.—შვილნი შენნი, ვითარცა ახალნერგნი ზეთის ხილისანი. გარემოს ტაბლისა შენისა,—აჰა ესერა ესრეთ იკურთხოს კაცი, რომელსა ეშინოდეს უფლისა.“

ოჯახი, რომელიც წერილით მინდა გავაცნო მკითხველ საზოგადოებას, ჩვენს ქალაქში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ბევრისთვის ნაცნობია, ბევრისთვის არა. მე კი ამ პატარა ოჯახის მთავარ წევრებს ქალბატონსა და ბატონს ყოველდღე ვხვდები.

დილით, როდესაც მე და ჩემი შვილი ჩვენ-ჩვენი სამსახურისკენ მოვიჩქარით, პირველად ბაღის კარს შევაღებ, სადაც იგი უნდა დავტოვო. ბაღის დერეფანში სანდომიანი ღიმილით შემოგვეგებება სასიამოვნო გარეგნობის, ახალგაზრდა ქალბატონი, ცაგერის №2 საბავშვო ბაღის მთავარი დიასახლისი ლელა კვირკაშვილი მშვიდობიანი დილას გვისურვებს და დაგვშორდება. ბავშვს იმედით ვტოვებ ბაღის კედლებში, და გზას ჩემი სამსახურისკენ ვაგრძელებ. გამგეობის შენობის დერეფანში, საქმიანი ფურცლებით ხელში ბატონ ვანო ფანჯარაძეს ხშირად ნახავთ, გაწონასწორებულს, მუდამ მშვიდი გამომეტყველებით, ღიმილით მოგესალმებათ და თავის საქმეს გააგრძელებს.

აი, ერთი ოჯახის ორი მთავარი წევრი ლელა კვირიკაშვილი და ვანო ფანჯარაძე, ორ სხვადასხვა სფეროში, მაგრამ ერთი მისიით, სთესონ სიყვარული, სიკეთე, სითბო, იყვნენ თავმდაბლები, აკეთონ თავიანთი საქმე მთელი გულით.

ლელა ჩხუტელში ლამაზ, ტკბილ ოჯახში დაიბადა. დედა, გამოჩენილი პედაგოგი ნატაშა კაპანაძე დღენიადაგ მოყვასის სიყვარულს, პატიოსნებას, ყველაფერს კარგს და ამაღლებულს ასწავლიდა. დღემდე მიჰყვება იგი დედის სახელმძღვანელოთი ცხოვრებას და ახლა მის შვილებს უნერგავს.

დაამთავრა საშუალო სკოლა, მუშაობდა სოფლის საბავშვო ბაღში აღმზრდელად. შემდეგ მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. სტუდენტური ექვსი უბედნიერესი წელი გაატარა თბილისში. (თბილისი მისი ოცნების ქალაქია). დედაც და მამაც ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ შვილებს არაფერი მოჰკლებოდათ, თუმცა თავზე საყრელიც არაფერი გვქონდა, იხსენებს.

წლებია თავის სპეციალობით მუშაობს ჯერ №2 საბავშვო ბაგაბაღში ფსიქოლოგად. სულ მალე მან მომავალი მეუღლე გაიცნო და რამდენიმე თვიანი ურთიერთობის შემდეგ ოჯახი შექმნეს. ჰყავთ ორი შვილი—ქალ-ვაჟი. მშვიდად მიჰყვებიან ცხოვრების დინებას. ლელა ბედნიერია, გამართლებულ სიყვარულად მოიხსენიებს მეუღლეს, რომელიც ყველაფერს ცდილობს ოჯახის საკეთილდღეოდ, არის მოსიყვარულე მეუღლე, მამა, უდიდესი სიყვარულის მატარებელი კაცი. იგი საორგანიზაციო განყოფილების სპეციალისტია გამგეობაში- თავის საქმის მცოდნე.

არცერთი მნიშვნელოვანი თარიღი მეხსიერებიდან არ ამოდის, ყველა კარგად ახსოვს ყველაფერს დეტალურად იხსენებს. ეს იყო მისი შვილების დაბადება თუ სხვა და სხვა, მაგრამ 98 წელს განსაკუთრებით გამოყოფს, ეს ქორწინების წელი, გახლავთ.

ვანოს მონათხრობში ისინი დღემდე მოდიან სიყვარულით, ღმერთმა მას კეთილი და მადლიანი დედაკაცი უბოძა, „ყოველ კეთილ საქმეს გაბედვით მოჰკიდებს ხელს, იცის, რომ მას ჰყავს შემწე კეთილი და ძვირფასი, რომელიც უღელს გაუწევს ყოველ კეთილ საქმეში, გაამხნევებს და იმედს მისცემს გაჭირვების დროს, კეთილი დედაკაცი აიტანს გასაჭირს და შეიშნობს ბედნიერებას.“

ახალგაზრდა ცოლ-ქმარს გეგმები ბევრი აქვთ. ისინი პატარა 3 ოთახიან, მყუდრო ბინაში ცხოვრობენ. ამ ეტაპზე ეს ფართი მათთვის საკმარისია. შემდეგისათვის კი გაფართოებას ფიქრობენ. ლელას თქმით, მისთვის არ არსებობს სიტყვა, „ვერ შევძლებ.“ იგი ბუნებით მტკიცე ოპტიმისიტია და ნებისმიერ საქმეს, რასაც კი შეერკინება, პირნათლად აკეთებს. არ ეშინია მას ცხოვრების, ისევე როგორც მის მეუღლეს, ისეთი ძლიერი საყრდენები არიან ერთმანეთისთვის.

ოჯახი

ლელა ორი წელია №2 საბავშვო ბაღის გამგეა, უდიდესი მისიაა მისთვის ეს თანამდებობა. მისია და ნდობა, რომელიც მას კოლეტქივმა გამოუცხადა. უნდა შევძლო— ამბობს იგი—ისევე ჩემი კოლექტივის გვერდში დგომით. ბაღის ყველა პრობლემის გადაჭრა ჩემი უპირველესი მოვალეობაა, როცა დილით ბაღის კარს ვაღებ და პირმცინარი გოგო-ბიჭები შემოცვივდებიან, ასეთი პირმცინარები უნდა გავისტუმროთ საღამოს შინ. არცერთი ბავშვის ატირებული სახე, არც ერთი გაბუტული მშობელი. მშვენივრად მესმის ჩვენი მოვალეობა, ვზრდით თაობას, თაობა რომლის მხრებზე უნდა დადგეს ხვალ-ზეგ საქართველო, გამთლიანებული, უკეთესი ყოფითა და მომავლით.

კარგა ხანსვუსმენდი ამ ორ ადამიანს, მათი ბავშვობის, სტუდენტობის, სიყვარულის ისტორიებს. რა არ გაიხსენეს, ვინ არ მოიგონეს, რა იდეები თუ გეგმები არ ანვალებთ, ერთი ნინადადებაც კი ვერ დავიჯერე სადაც ცუდი იქნებოდა ნახსენები. ყვებიან გულახდილად, ლაღად, იმედით. ათასგზის გადაიწერდნენ პირჯვარს საუბრის დროს, სიტყვებით—ღმერთის წყალობით, ღვთის შეწევნით, უფალი დაგიფარავს. გწამდეთ, რომ ეს ასეც იქნება, უფალი შეეწევა და დაიფარავს თქვენს ოჯახს ყოველივე გასაჭირისგან, რადგან ოჯახია თვითონ—სიყვარულის, სათნოების, ლმობიერების ტაძარი.

ეკა ბენდელიანი

ცაგერის რაიონის გამგეობასთან არსებული სახელმწიფო საჯუთრების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აუქციონს

აუქციონზე საპრივატიზაციოდ გამოტანილ იქნება ოყურეშის თემის საკრებულოს ტერიტორიაზე მდ. რაჩხის ხეობაში, რაჩხის მდინარე ცხენისწყლის შეერთების ადგილზე 420 კვადრატული მეტრი არასასოფლო—სამეურნეო მიწის ნაკვეთი. საწყისი ფასი 302 ლარი.

მდ. რაჩხის ხეობაში ისუნდერ—მახურის ხიდის ქვემოთ ე. წ. „წისქვილების“ ტერიტორიაზე 950 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი. საწყისი ღირებულება 684 ლარი. (მისასვლელი გზის ჩათვლით).

ისუნდერი—მახურის გზის გასწვრივ 1100 გრძივი მეტრი 2200 კვ. მეტრი მიწის ფართობი საწყისის ფასი 1584 ლარი.

ოყურეშის თემის საკრებულოს ისუნდარის გზის შესახვევში გზის ხელმარცხნივ თავისუფალი მიწის ფართობი 150 კვ. მეტრი, საწყისი ფასი 108 ლარი.

მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა მოხდება კომერციული საქმიანობისათვის განსაზღვრული პირობებით, რომელიც მოცემული იქნება საინფორმაციო პაკეტში და მისი მიღება შეეძლება განცხადების შემომტან დაინტერესებულ პირს..

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი „ბე“-ს ოდენობა შეადგენს გასაყიდ ფასის მინიმუმ 20%-ს.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წილი 25%-ე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

—დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;

—„ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი მოწმობა;

—ნოტარიუსით დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიუსით დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადედების მიღება მიმდინარეობს განცხადების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში 10 საათიდან 18 საათამდე ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს.

აუქციონის კომისიის სხდომა გაიმართება: 01. 09. 2006 წ. 10 სთ-ზე. ცაგერის რაიონის გამგეობის სხდომათა დარბაზში.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე ქ. ცაგერი რუსთაველი ქ. №46, გამგეობის შენობის მეორე სართული.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის რაიონული კომისია

ჰაფრიოტები მოდიან!

უკვე მეორე წელია, რაც საპრეზიდენტო პროგრამა „პატრიოტული ბანაკები“ ხორციელდება. რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების სულიერ და ფიზიკურ გაკაჟებას, ერთმანეთის გაცნობასა და დაახლოებას. ათასობით ქართველი ახალგაზრდა ისვენებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: კახეთში, აჭარაში, გურიაში. გასულ წელს თუკი ბანაკებში მყოფ მსურველთა რიცხვი თხუტმეტიათას შეადგენდა, წელს უკვე გაორმაგებულია. რაც იმაზე მეტყველებს, რომ პროგრამის მიზანი გამართლებულია. წელს ჩვენს მხარეზე საგზურები ასე გადანაწილდა კახეთი—საგარეჯო, ლაგოდეხი. ჩვენი რაონის ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების მიერ (ხელმძღვანელი თამილა ჭაბუკიანი) სულ ორმოცდაერთმა ახალგაზრდამ შეძლო დაესვენა პატრიოტულ ბანაკებში. ჩვენ თავად გახლდით მომსწრე იმისა, თუ როგორ, თვალცრემლიანი ემშვიდობებოდნენ ათ დღეში დამეგობრებული ახალგაზრდები ერთმანეთს. იყო ბევრი ცრემლი განშორების... და იმედი მალე შეხვედრის. მეორედ გასვლა ჩვენი რაიონიდან 19 აგვისტოს იგეგმება.

ეკა ყვირილიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

სიახლეები ვეტერანთა დახმარების საქმეში

მეორე მსოფლიო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ დიდი სამამულო ომის ვეტერანებს ნორმალური ცხოვრებისა და შრომის ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ცნობილი პოლიტიკური მოვლენებს შედეგად, ვეტერანებისადმი ზრუნვამ საგრძნობლად იკლო. ამის გამოსასწორებლად 1995-1998 წლებში საქართველოს პარლამენტმა მიიღო არა ერთი კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ," რომლებითაც გათვალისწინებული იყო ომის ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა სოციალურ_ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, მაგრამ დაპირებები არ სრულდებოდა. კიდევ მეტი, 2005 წლის 23 დეკემბერს, პარლამენტის გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონებში „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ შეტანილი იქნა ცვლილებები: ამოღებული იქნა ვეტერანებისათვის სამედიცინო, საპროთეზო, სანატორიულ_საკურორტო მკურნალობა, სამკურნალო საშუალებებით ვეტერანთა უზრუნველყოფა, დახმარებები შრომითი პირობების გაუმჯობესებისათვის, სოციალური უზრუნველყოფად, სოციალური დაცვის დაწესებულებებით სარგებლობა. პენსიონერები კარგავენ პენსიას თუ ისინი გააგრძელებენ სამსახურს. პარლამენტის აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ ვეტერანი პენსიონერებს შემორჩათ უმნიშვნელო შეღავათები: შეუძლიათ წყლის უფასოდ სარგებლობა(?), თავისუფალი არიან რადიოსა (?!) და ტელეფონის სააბონენტო გადასახადისაგან, შეღავათებით სარგებლობენ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდით.

მისასალმებელია, რომ ბოლო პერიოდში ვეტერანებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება პოზიტიურად იცვლება.

1. საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 9 თებერვლის №44 ბრძანებით ომის მონაწილეებს და მათთან გათანაბრებულ პირებს გაეზარდათ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის კომპენსაცია შემდეგი ოდენობით

1. სამამულო ომის ინვალიდები და მონაწილეები ყოველდღიურად მიიღებენ ფულად კომპენსაციას 28 ლარის ოდენობით.

_მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ქვრივები 14 ლარის ოდენობით.

_ტერიტორიული მთლიანობისათვის და დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულთა შრომის უუნარო მშობლიური-მეუღლეები, შვილები_28 ლარის ოდენობით.

_ომის ვეტერანებთან გათანაბრებულები პირები 14 ლარის ოდენობით.

_ომის მონაწილეები_14 ლარის ოდენობით.

_ჩერნობილის ავარიის ლიკვიდაციის მონაწილენი და ინვალიდები_4 ლარის ოდენობით.

_პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები და მათი ოჯახების შრომისუუნარო წევრების 4 ლარის ოდენობით.

_პერსონალური პენსიონრები 4 ლარის ოდენობით

_ომის შემდგომ გარდაცვლილი ომის ინვალიდებისა და ომის მონაწილეები, შვილები_14 ლარის ოდენობით.

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური სამინისტროს ინიციატივით წელს დაიწყო ვეტერანებისათვის სამედიცინო_სადაზღვევო პოლისების გაცემა. თითოეული ვეტერანი 3 ათასი ლარითაა დაზღვეული. სადაზღვევო თანხა გადაეცემა საავადმოფოებს ვეტერანების მკურნალობისათვის. სამედიცინო დახმარება გაეწევა იმ პირებს, რომლებიც ექიმია_სპეციალისტების დასკვნით, ნამდვილად საჭიროებენ მკურნალობას.

ამჟამად, სამედიცინო სადაზღვევო პოლისების გაცემა მიმდინარეობს რესპუბლიკის დიდ ქალაქებში. მალე მას ყველა ვეტერანი მიიღებს.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები მადლიერების გრძნობით აღიქმება თითოეული ვეტერანის მიერ.

შალვა ცვარიანი,
ცაგერის რაიონის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე.

კონცერტი

კიდევ ერთი ლამაზი, სანახაობრივად საინტერესო პროგრამით წარსდგა ცაგერის სარაიონო კულტურის სახლი მაყურებლის წინაშე.

კონცერტის მრავალფეროვნება ხაზს უსვამდა შემოქმედი ადამიანების უსაზღვრო ნიჭიერებას. მათი ვალიც ხომ, სწორედ, ესაა თითოეული ბავშვი ტრადიციულ, ესთეტიკურ სულიერებას აზიარონ.

კონცერტი გაამშვენიერა ანსამბლმა „ლეჩხუმმა", რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი ზურაბ ჩანქსელიანი, ხოლო ქორეოგრაფები იური ბენდელიანი და თემურ ჩანქსელიანი გახლავთ. ამ ანსამბლს არაერთხელ უსახელებია ლეჩხუმი და მრავალი ფესტივალის პრიზიორიც გამხდარა. ანსამბლი „ლეჩხუმი" გახლავთ დასავლეთ საქართველოს ბავშვთა ქორეოგრაფიული, ბათუმის ბავშთვა ქორეოგრაფიულ და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ფოლკლორული ანსამბლის ლაურეატი.

კონცერტის დადებითი მხარე კიდევ უფრო გააძლიერეს კულტურის სახლთან არსებულმა მაკაცთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „სალაღობომ". (ხელმძღვანელები ზაზა ყურაშვილი, სპარტაკ კვირიკაშვილი). „ჭიტა_ჭიტელებმა" ლიკა ლიპარტელიანმა, ქრისტინა ხაბულიანმა, ხატია და ნათია ციხილაძეებმა. გჯუფმა „პატრიოტებმა" ზორბეგ ცვარიანმა, გიორგი გოგიძემ, ზურიკო ჩორგოლიანმა. კულტურის სახლის სოლისტებმა გულნაზ გოლეთიანმა და ვალიდა ბენდელიანმა. მსმენელის წინაშე მხატვრული კითხვით წარსდგა ქალბატონი ნატო სილაგაძე, რომელმაც ლადო ასათიანის ლექსი „ჩემი სამშობლო" წაიკითხა.

კონცერტის წამყვანი, სარაიონო კულტურის სახლის დირექტორი, ქალბატონი დარეჯან სალინაძე გახლდათ, რომელიც, მიუხედავად მრავალი პრობლემებისა, ენერგიას არ იშურებს, ლამაზი დღეები აჩუქოს ლეჩხუმელ მსმენელს.

ეკა ყვირილიანი.

საბავშვო ბიბლიოთეკაში

ზეიმი მწერლის პატივსაცემად

ცაგერის საბავშვო ბიბლიოთეკაში (ხელმძღვანელი ლალი ფანჯარაძე) ნოდარ დუმბაძის დაბადების დღისადმი მიძღვნილი პატარა ლამაზი ზეიმი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკის ნორჩი მკითხველები, ცაგერის საშუალო სკოლის, წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის და გვესოს არასრული სკოლის მოსწავლეები. პატარებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, რომ ნოდარ დუმბაძე იყო საუკუნეების წყვდიადიდან წამოსული ქართველი სიტყვის მახარობელი, რომელიც სიტყვას მზეზე სატევარივით აკაშკაშებდა.

იგი ერთგან ამბობს: „ადამიანის სული გაცილებით მძიმეა, ვიდრე სხეული, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული."

ბავშვებმა გაიხსენეს ნოდარ დუმბაძე, როგორც პიროვნება, როგორც მწერალს, არაერთი, პატარა თუ დიდი ნაწარმოები, მათ შორის საქართველო, „სახლობინა" სამშობლო" და ა. შ. ისინი ჩვენთვის სიმღერებსაც ასრულებდნენ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები გიორგი კვირიკაშვილი და დავით სანთელაძე.

ამ სამსახურის ხელმძღვანელმა ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა ისაუბრა ნოდარ დუმბაძის შესახებ და მადლობა გადაუხადა მონაწილეებს.

ჩვენც მადლობას ვუხდით ქალბატონ ლალი ფანჯარაძეს, ქალბატონ ირინა გასვიანს, მუსიკალურ გამფორმებელს გულნაზ გოლეთიანს და ბიბლიოთეკის მთელ კოლექტივს.

თამარ დავითულიანი

ცაგერის №16 საგზაო_სამშენებლო სამმართველოს დირექტორს ბატონ რევაზ (ბათო) ყურაშვილს

გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ იმ სიყვარულისა და ყურადღებისათვის, რომელიც ჩვენდამი, სამამულო ომის ინვალიდ_ვეტერანებისადმი გამოიჩინეთ. ცაგერის ომის ვეტერანთა საბჭომ თითოეულს თქვენი ნაჩუქარი 50 ლარი გადმოგვცა. გვიჩნდება გრძნობა, რომ ომის ვეტერანები არ არიან დავიწყებული, რომ გვყავს გულშემატკივრები, მოსიყვარულე ადამიანები. მათ შორის ერთ-ერთი თქვენ ბრძანდებით.

დიდი მადლობა, ბატონო ბათო!

გისურვებთ ბედნიერებას, ყოველივე სიკეთეს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

სამამულო ომის ინვალიდი ვეტერანები:

მურცხვალაძე სემინარი პეტრეს ძე_ჩხუტელიდან.
ჩაკვეტაძე ვალიკო სანდროს ძე_ისუნდრიდან
ყურაშვილი ქორა ამბროსის ძე უსახელოდან
ხეცურიანი ბუხუტი სერგოს ძე_ლვირიშიდან

ომის ინვალიდ ვეტერანებს დახმარებას შეპირდნენ ცაგერის სატყეო მეურნეობის დირექტორი, ბატონი ონერ ნემსიწვერიძე, ლაჯანურჰესის დირექტორი ბატონი დათო ჩაჩხიანი, აგრეთვე რამდენიმე შპს.

იმედი გვაქვს ისინი სიტყვას არ გატეხენ და თავის მოკრძალებულ წვლილს გაიღებენ ყველაზე უფრო შეჭირვებულთა დასახმარებლად.

ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე
შალვა ცვარიანი

თამაზ მდივნის გახსენება

ორმოცი ცრემლიანი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან წახვედი. სევდამ და ნაღველმა დაისადგურა შენს ოჯახში. უშენობამ სითბოც წაგვართვა და სიხარულიც, სამაგიეროდ უსაშველო ტკივილი და მონატრება დაგვიტოვა,

ოჯახის იმედი იყავი, შვილების სიამაყე. მოსიყვარულე მეუღლე და ბაბუა. შენს გვერდით ყოველთვის უშიშრად ვგრძნობდი თავს, შენი სიძლიერით ვამაყობდი. უშენოდ თითქოს მთელი სამყარო დაცარიელდა, მაგრამ შენზე ფიქრი, ლამაზი მოგონებები ჩვენი ცხოვრებისა, ამ სიცარიელეს მიმსუბუქებენ.

ვაჟკაცი იყავ და სიკეთით სავსე. სხვისი სიხარულით ხარობდი და ტკივილი გულთან მიგქონდა, ცხოვრების გზაზე ბევრი დაბრკოლება გადაგილახავს, მაგრამ არასდროს შეგშინებია... სიცოცხლე გიყვარდა, ცხოვრების გაგრძელება გსურდა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა სხეული წაიღო სულით კი ვერ დაგამარცხა, შენს თვალებში ისევ იმედის ნაპერწკალი კიაფობდა...ვაჟკაცურად იტანდი ყველა ტკივილსა და მოძალებულ ნაღველს. უსაშველოდ გვენატრები ყველას, მე კი მიკვირს უშენოდ როგორ გავძელი ორმოცი დღე და ცხოვრება გავაგრძელე.

ცხოვრება უშენოდ მიდის, სულ მალე შენს კერას ორი ანგელოზი მოევლინება და გწამდეს ისინიც ისე იამაყებენ შენით, როგორც შენი უფროსი შვილიშვილი ამაყობს თავისი ბაბუით, გოჩა ხომ შენი საყვარელი ძმისშვილის ხსოვნის პატივსაცემად დაარქვი, რათა მისი სახელი დავიწყებას არ მისცემოდა, მერწმუნე თამაზ! ჩვენს ოჯახში კიდევ გაჩნდება პატარა თამაზი, რომელიც შენს შეწყვეტილ სიცოცხლეს გაარძელებს და შენს სახელს უკვდავყოფს.

შენს მიერ დათესილმა სიკეთემ გაგინათოს გზა მარადიული სასუფევლისაკენ, მე კი იმედს ვიტოვებ, რომ იქაც გხვდებიან შენი საყვარელი ადამიანები, რომლებიც მზრუნველობასა და სითბოს არ მოგაკლებენ.

შენს საფლავთან მუხლმოყრილი ვილოცებ შენი სულისათვის...ჩემო ტკივილო და მოურჩენელო იარავ...

მეუღლე
ნათელა მდივანი

ვაუჩერები_სისხლი!

იმის გამო, რომ რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს შესამჩნევად გაუძვირა ელექტროენერგიის ღირებულება, სახელმწიფო და მთავრობა იძულებული შეიქმნა ჩვენთვისაც ძვირად მოეყიდა იგი. სამაგიეროდ მათ, ვისაც განაცხადით მიმართეს სოციალურ სააგენტოს და თავიანთი თავი სილატაკის ზღვარზე მისულ ადამიანების რიგში დააფიქსირეს, მთავრობამ და ნაციონალურმა მოძრაობამ პოლისები და 37 კილოვატი დენის გადასახადის შეღავათები დაურიგა.

ვაუჩერების დარიგება აგერ უკვე ერთი თვეა მიმდინარეობს საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცაგერის რაონული ორგანიზაციის ოფისისა და კოორდინატორების მეშვეობით, ხოლო მათ, ვისაც გვიან მოუხდათ განაცხადის წარდგენა, შესაბამისი ქულების დადგენის შემდეგ მიეცემათ აღნიშნული პოლისები და ელექტროენერგიის ვაუჩერები.

საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის პრესცენტრი.

ვინ იყო ხოსია ლეჩხუმელი?

ეს ჩვენი ისტორია

ისტორიულმა წყაროებმა ძალიან მწირი ცნობარი შემოგვინახა ხოსია ლეჩხუმელის შესახებ, რის გამოც ეს პიროვნება ნაკლებად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის.

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ლეჩხუმი რაჭასთან ერთად იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, როგორც მეფის სახასო მამული. საქართველოს სამეფო სამთავროებად დაშლის პროცესში ლეჩხუმში ახვლედიანები და ლაშხიშვილები ბატონობდნენ. როგორც სხვა კუთხეების გაბატონებული წოდება, ისინიც შინაფეოდალურ ომებში იყვნენ ჩაბმული. ვახუშტის დახასიათებით „არამედ ეამთა ამათ განდიდნენ მთავარნი და მიიტაცებდნენ მხარეთა და აღარ იყო მორჩილება უგვანო მეფეთა“. ამ ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო ლაშხიშვილთა წარმომადგენელი ხოსიაც, რომელიც იმერეთის სამეფო კარზე ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურად იქცა.

იმერეთის სამეფო კარის თანამდებობის პირთა შორის რაჭის ერისთავის შემდეგ ყოველთვის მოიხსენიებოდა ლეჩხუმის თავი, რომელსაც პირადად მეფე ნიშნავდა და საჭიროების შემთხვევაში გადააყენებდა. ლეჩხუმის თავის თანამდებობაზე პირველად 1661 წელს იხსენიება ხოსია ლაშხიშვილი. ამის შესახებ ვახუშტი წერს. გარდამოვლო ვახტანგ მეფემ მთა ლიხისა მიერთვნენ სრულად ზომიერნი იმერნი მას და ლაშხიშვილი ხოსია თავი ლეჩხუმისა“.

როგორც ცნობილია, 1662 წელს ოდიშის მთავარ ლევან II დადიანის სიკვდილის შემდეგ სამთავროს ტახტის ხელში ჩასაგდებად გაჩაღებულ ბრძოლაში გაიმარჯვა ვამეყ III-მ, რომელმაც დაიკავა სამთავრო ტახტი და მიიღო დადიანის ტიტული. ამის შემდეგ ის აქტიურად ებმება იმერეთის სამეფოში გაჩაღებულ შინა ომებში და მიაღწია იმას, რომ დაიპყრო სამეფოს დიდი ნაწილი და მეფის ტიტულიც მიიღო.

იმერეთის სამეფო კარს, რა თქმა უნდა არ შეეძლო შერიგებოდა სამეფოში შექმნილ ასეთ მდგომარეობას და დაიწყო აქტიური ზომების მიღება დადიანის წინააღმდეგ.

მის წინააღმდეგ გაილაშქრა ქართლის მეფე ვახტანგ V, მაგრამ ბრძოლამდე საქმე არ მისულა და მხარეები შეთანხმდნენ. შეთანხმებას ძალით ვახტანგ მეხუთემ იმერეთის ზემო მხარე დაიკავა. ხოლო დანარჩენი დადიანს დარჩა. ამავე შეთანხმებით დადიანს თავისი ასული უნდა მოეთხოვებინა ვახტანგის ვაჟის არჩილისათვის, მაგრამ დადიანმა პირობა დაარღვია და თავისი ასული სხვას მიათხოვა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. თუ ის თავის ასულს არჩილს მიათხოვებდა, იმერეთის სამეფო ტახტს ის დაიჭერდა. დადიანს კი სამეფო ტახტი თავისთვის უნდოდა. ამის გამო ვახტანგ V მეორედ ილაშქრა იმერეთში. ვამეხ III დადიანს გადაუდგა არა მარტო იმერელი ფეოდალები, არამელ მეგრელ თავადთა დიდი ნაწილიც. ვახტანგ V დაიკავა სამეგრელოს ციხე-სიმაგრეები და ამავე დროს ტყვედ დადიანის ცოლშვილიც. დადიანი იძულებული გახდა თავის გადასარჩენად თავი შეეფარებია სვანეთისათვის. ოდიშის სამთავრო ტახტი დაიკავა ლევან II დადიანის ძმისწულმა შამადავამ.

იმერეთის სამეფოს საშინაო მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, დიდებულებმა დაიწყეს აქტიური ბრძოლა. სვანეთში თავშეფარები დადიანის წინააღმდეგ გადაწყდა დადიანის ფიზიკური განადგურება. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდა ხოსა ლაშხიშვილი და შეთქმულებმა მასვე დაავალეს დადიანის მოკვლა, და მაინც გონივრულად მოფიქრებული გეგმის წყალობით შეაღწია ვამეყ III დადიანის ბანაკში და სიცოცხლეს გამოასალმა ის. აი, როგორ გადმოგვცემს ისტორიული წყარო ამ ფაქტს: „რამეთუ შეჩენია ხოსია ლაშხიშვილის მოკლეს სუანეთს დადიანი ვამეყ, ბრძანებითვე ვახტანგ მეფესთა“.

ლეჩხუმის მებატონე ხოსია ლაშხიშვილი იმდენად გაძლებდა, რომ იგი აქტიურ როლს ასრულებდა იმერთის სამეფო ტახტზე მეფეთა ცვლაში. იმისათვის, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს მისი გავლენა იმერეთის სამეფოში, საჭიროა შევეხოთ მის როლს იმერეთის დედოფლის დარეჯანის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში. მეჩვიდმეტე საუკუნის შუა ხანებში, კერძოდ 1639-1660 წლებში იმერეთში მეფობდა ალექსანდრე III. იგი შეძლებისდაგვარად იბრძოდა გაძლიერებული ფეოდალური ანარქიის აღსაკვეთად და მხარს უჭერდა თავის სიმამრს თეიმურაზ I სპარსეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. თეიმურაზის გავლენით ურთიერთობა დაამყარა მოსკოვის სახელმწიფოსთან და 1649, 1651 და 1656 წლებში გაგზავნა ელჩები. 1656 წლის 9 ოქტომბერს ხელი მოაწერა მოსკოვის სახელმწიფოს ერთგულების ფიცის წიგნს. ოცი წლის განმავლობაში ებრძოდა ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს. დადიანის გარდაცვალების შემდეგ 1657 წელს მეფედ ვამეყი დაინიშნა. გურიელადაც მისი მომხრე დემეტრე სიმონის ძე დაინიშნა. ამით მან ორივე სამთავრო თავის გავლენას დუმორჩილა და შეძლო რამდენადმე განემტკიცებინა იმერეთის სამეფოს საშინაო მდგომარეობა. ალექსანდრე III გარდაიცვალა 1660 წელს. იმერეთის სამეფო ტახტი დაიკავა ბაგრატ IV. ბაგრატ IV მიერ იმერეთის სამეფო ტახტის დაკავებას არ შეურიგდა ალექსანდრეს ქვრივი დარეჯანი. მეფის გარდაცვალებამ საშუალება მისცა დედოფალს აქტიურად ამოქმედებულიყო. მან შეთქმულების გზით ტახტთან ჩამოაგდო ბაგრატ IV, ქმრად შეირთო იმერეთის ბაგრატიონთა შორეული ნათესავი ვახტანგი და იგი მეფედ გამოაცხადა. ამის შემდეგ დარეჯანი იმერეთის ფაქტიური მფლობელი გახდა. ახალმა მეფე-დედოფალმა ხოსია ლაშხიშვილი გაიშინაურა. დარეჯანმა მირონიც კი „ჰსცხო“ ხოსიას. ამიერიდან იმერეთის სამეფო კარზე ყველაფერი ხოსია ლაშხიშვილს ეკითხებოდა,

ამ პერიოდში იმერეთში ალექსანდრე III მიერ განმტკიცებული პოლიტიკური მდგომარეობა დასუსტდა და ქვეყანა კვლავ შინაფეოდალურმა ანარქიამ მოიცვა, ასეთ სიტუაციის დიდხანს გაგრძელება სამეფოს კატასტროფით ემუქრებოდა სამეფო კარმა გადაწყვიტა აღეკვეთა დარეჯან დედოფლის თვითნებობა. შეიკრა შეთქმულთა წრე შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ხოსია ლაშხიშვილიც იყო. შეთქმულების საფუძვლიანად მომზადების შემდეგ გადაწყდა დარეჯან დედოფლის სიკვდილი. ამ აქციის შესრულება დაევალა ხოსია ლასხიშვილს. აი, როგორ გადმოგვცემს ლევან სანიკიძე წყაროებზე დაყრდნობით ამ ამბავს: „ერთ დღეს დილით, როცა დარეჯან დედოფალი სასახლეში სარკის წინ შილიფად იდგა, თმას ივარცხნიდა და იკაზმებოდა, უცბად შევარდა ხოსია ლაშხიშვილი და დედოფალს შუბი აგება შიგ მარცხენა ფეხში.

დარეჯან დედოფლის მოკვლის შემდეგ ბუნებრივია დაისვა საკითხი ვის უნდა დაეკავებინა იმერეთის სამეფო ტახტი. ხოსია ლაშხიშვილი, თავდაპირველად მხარს უჭერდა დემეტრე გურიელს, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ გურიელის ტახტზე ასვლა ქვეყანას ვერ დააწყნარებდა, პოლიტიკურად ვერ განამტკიცებდა და აქტიურად დაუჭირა მხარი ბაგრატ IV იმერეთის სამეფო ტახტის დაბრუნებაში.

იმერეთის სამეფო კარის თანამდებობის პირთა შორის რაჭის ერისთავის შემდეგ ყოველთვის მოიხსენიებოდა ლეჩხუმის თავი, რომელსაც პირადად მეფე ნიშნავდა და საჭიროების შემთხვევაში გადაყენებდა. ლეჩხუმის თავის თანამდებობაზე პირველად 1661 წელს იხსენება ლაშხიშვილი ხოსია. ამის შესახებ ვახუშტი წერს: „გარდმოვლო ვახტანგ მეფემან მთა ლიხისა მიერთვნენ სრულიად, იმერნი და ლაშხიშვილი ხოსია თავი ლეჩხუმისა“.

ასეთია ხოსია ლაშხიშვილი, იგივე ლეჩხუმელის ცხოვრება იმ მწირი მასალების მიხედვით რაც ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახა. ხოსია ლაშხიშვილი უკანასკნელად ისტორიულ დოკუმენტში იხსენება 1669 წლის დეკემბრით დათარიღებულ ბაგრატ IV ერთ-ერთ სიგელში. ამის შემდეგ მისი სახელი აღარ გვხვდება. ფიქრობენ რომ ხოსია ლაშხიშვილი გარდაიცვალა 1670 წელს.

სამწუხაროდ არ მოხერხდა დადგენა თუ რომელი სოფლიდან იყვნენ ლაშხიშვილები, როგორც ლეჩხუმის თავი საც ჰქონდა რეზიდენცია და მმართველობის როგორი სტრუქტურა იყო.

კუკური ლეთოდიანი
ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი

გახსენება

თამუნა ვალერის ასული ჯიაძე

23 ივლისს 23 წელი შეგისრულდებოდა. ოქროს დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო საყვარელო შვილო! ისევ ისე მიყვარხარ და მენატრები. ისევ მოვიდა სევდიანი და ცრემლიანი 23 ივლისი.

სხვისი მიკვირდა, შვილო! როგორ ცოცხლობენ შვილმკვდარი დედები-მეთქი. ვაი თურმე ამ სიცოცხლეს, თუ ამას სიცოცხლე ჰქვია... ტანჯვა შვილო, დაუსრულებელი ტანჯვა, როგორ გაძლო შენმა უბედურმა დედამ 6 წელი უშენოდ, შენ ხომ ჩემი პირველი, სიხარული და ერთადერთი გოგო იყავი, თამუ! შენს თავს ვფიცავარ, ბევრჯერ ვინატრე შენს საფლავზე მოვიდე და დავისვენო სამუდამოდ, სიგიჟემდე მენატრები დედიკო. მინდა ჩაგეხუტო, შენი სითბო მინდა...

ახლა მეტი აღარაფერი შემიძლია, ღმერთს ვთხოვ ჩემმა ლოცვა კურთხევამ, ცრემლებმა და სიყვარულმა გაგინათოს სასუფევლისაკენ გზა 23 ივლისს 23 სანთლით მოვალთ შენს საფლავზე, ავანთებთ სანთლებს, მოგილოცავთ ოქროს დაბადების დღეს. დაე, ყველა ჩვენთაგანის მონატრებამ, სიყვარულმა გაგინათოს გზა.

უკვე სიკვდილის აღარ მეშინია, რადგან შენ მეგულვები იქ, ცათა სასუფეველში.

დედა
ლალი ჯიაძე

მამუკა ხვანიძის გახსენება

27 ივლისი, უშენოდ მოსული შენი დაბადების დღე, 45 წელი შეგისრულდა არა აქ, ამ ცოდვილ მიწაზე, არამედ იქ ქრისტეს ბრწყინვალე საუფლოში შენს მამასთან და ბესიკთან ერთად. მე-5 წელია შენი ტრაგიკული სიკვდილით დაცარიელდა ჩემთვის სამყარო, წახვედი და თან წაიღე ჩემი გული, სულის სიმშვიდე და მომავლის იმედი. დამიტოვე სიცარიელე. აფორიაქებული სული და სასაფლაო. შენს სიცოცხლეში ვინმეს რომ ეთქვა, მამუკას საფლავის ხილვას მოესწრები და მაინც ცოცხალი დარჩებიო, ზეზეურად გავქვავდებოდი ან ჭკუაშეშლილი ვიქნებოდი. ახლა? ღვთისნებას დავმორჩილდი, არც გავქვავდი და არც გავგიჟდი, ცრემლითა და მოთქმით უნდა ვზიდო ჩემი უმძიმესი ტვირთი, რომელიც ზეცამ შავი უკუნით გადაფარა ჩემთვის. „შენ საამქვეყნო ტვირთი მოგხსნა ბედმა ავგულმა, მე ჭირისუფლის უმძიმესი ხვედრი მარგუნა“. შვილმკვდარი დედა აღარ ცოცხლობს, მას მხოლოდ სტკივა, სწორედ ეს ტკივილი არ მეშეტება გასანელებლად, რადგან მასში ვხედავ ჩემი არსებობის გამართლებას. ამიტომ ამ ტკივილით გილოცავ, შვილო, დაბადების დღეს. რა საბედისწერო შეიქნა ჩვენთვის 27. შენი კეთილი, სიყვარულით სავსე გულის ცემაც 27 ნოემბერს გაჩერდა. ალბათ ღმერთა სიბერისთვის ვერ გაგიმეტა და უხინჯო მშვენება დაგიტოვა მახსოვრობის ძეგლად. იწექი ოდნავ ფერმკრთალი, მძინარესავით თვალდახუჭული, ჩემი ცრემლების ღვარი დაგდიოდა უმოძრაო სხეულზე, მაგრამ შენი გულის ჯინულს ვერ ალღობდა. გათენებიდან შუაღამემდე არ წყდებოდა ხალხის ნაკადი, ამდენი წრფელი გულშემატკივარი, ამდენი ცრემლი, როდის მოასწარი, შვილო, ამდენი ხალხის სიყვარული ან ერთი მადლიც რატომ არ წამოგეწია მხსენლად განსაცდელის ჟამს? მართალია საყრდენი გამომაცალე, მაგრამ განგებამ დამიტოვა შენი შვილი_სოფო. ახლა აღარც გელოდები, აღარც გზას გავყურებ. სამუდამოდ დაგაბინავეთ, ვიცი რაიმე ხიფათი რომ არ გემუქრება. ვაი ამ სიმშვიდეს! რად გაგვწირა ბედმა, ერთი დღით მაინც შევხებოდი შენს თბილ სხეულს, მომეარა შენთვის, იქნებ დედის ხელს მოეცა მეორედ სიცოცხლე, მენატრები, უსაშველოდ მენატრები, ყოველი დაღამებული დღე, შენსკენ გადმოდგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. გულით მინდა ვირწმუნო, რომ სხეულის სიკვდილი სულის სიკვდილს არ ნიშნავს. მინდა შენი სახელი გამოვტაცო შავ-ბნელ ბურუსს და სიცოცხლე თუ ვერ შეგინარჩუნე, ხსოვნა მაინც გაგიხანგრძლივო, თუნდაც მცირე ხნით, ასე უფრო ვალმოხდილი მოვალ შენთან, ღმერთმა ჭნას ძალიან მალე. ღმერთმა ნეტარება მიანიჭოს შენს ამაღლებულ სულს.

შენი დედა
და დები.

მოსწავლეთა სპორტული

ჩატარდა ზონალური პირველობა მოსწავლეთა შორის ქართულ ჭიდაობაში, სადაც პირველ ადგილზე გამოვიდა ცაგერის სკოლის მოჭიდავეთა გუნდი, მეორე ადგილზე–ბარდნალის სკოლა, მესამეზე კი ლასურიაშის სკოლის გუნდი.

ფეხბურთში ლაჯანის ზონაში გაიმარჯვა ლაჯანის სკოლის ფეხბურთელთა გუნდმა. ცაგერის ზონაში ქვედა ცაგერის სკოლის გუნდმა.

სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა ათი სახეობა. საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები შემდეგნაირად განაწილდა:

ცაგერის ზონა

I ადგილი–ცაგერის სკოლა

II ადგილი–ქვედა ცაგერის სკოლა

III ადგილი–ჩხუტელის სკოლა

ლაჯანის ზონა

I ადგილი–ლაჯანის სკოლა

II ადგილი–ლაცორიის სკოლა

III ადგილი–ორბელის სკოლა

ნური ხეცურიანი

სპორტული სკოლის დირექტორი.

ქართულ ჭიდაობაში

ოქრო–ქუთაისიდან, ბრინჯაო–გორიდან

ქ. ქუთისში ჩატარდა საქართველოს ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო რაიონის ნაკრებმა გუნდმა (მწვრთნელი: კობა ქომეთიანი).

66 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა გიორგი სილაგაძე.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ქართულ ჭიდაობაში ფინალურ ეტაპზე გასვლის უფლება მოიპოვეს ასევე ჩვენმა ფალავნებმა თორნიკე მურცხველაძემ, ლევან მუშკუდიანმა და თეიმურაზ ახვლედიანმა.

ვულოცავთ ჩვენს მოჭიდავეებს ამ წარმატებას და ვუსურვებთ უფრო დიდი გამარჯვებით გაეხარებინოთ რაიონი.

P.S. ქ. გორში გამართულ საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ შეჯიბრებაში კვლავ ისახელა თავი გიორგი სილაგაძემ, რომელმაც მოიპოვა III (მესამე) საპრიზო ადგილი და ბრინჯაოს მედალი. მას აგრეთვე გადაეცა საჩუქრად ტელევიზორი.

თორნიკე მურცხველაძე V–ადგილზე გადავიდა, ხოლო თეიმურაზ ახვლედიანმა IV–ადგილი მოიპოვა.

გიორგი კვირკაშვილი
(ჩვენი საკ. კორესპონდენტი).

სიბრძნის საგანძურიდან

***

განხორციელება არ არის ძნელი, ძნელი გადაწყვეტილების მიღებაა.

***

ფულისთვის შრომას აზრი არ აქვს, ფული უნდა მოიხმარო.

***

მუზა, ლირიკა და რომანტიკა სამწუხაროდ, ოჯახურ პრობლემებში იკარგება და ქრება. სიყვარული ჩვევაში გადადის

***

სიყვარული ხომ ის ყვავილია, რომელსაც ყოველდღიურად უნდა მორწყვა

***

მარტოობა–ულდესავით მჟაცრი და მუნჯი.

***

ყველაფერი ხარ უმნიშვნელოს გარდა.

უკანასკნელი მარტოობა

მთვარისა ბენდელიანი—გახსოვთ ალბათ ეს სათნო, მოკრძალებული გოგონა. დადიოდა დიდრონი, სევდიანი თვალებით, დააბიჯებდა უჩუმრად, თავის სულსა და ხასიათს ხანაც სტრიქონებში ძერწავდა, ხანაც თიხაში, ხანაც საოცარ ნახატებში.

დღეს მთვარისა ლეჩხუმში არ გახლავთ. ლექსების, ეტიუდებისა და ჩანაწერების კრებული გამოუცია და „უკანასკნელი მარტოობა“ დაურქმევია.

„ადამიანი ხანგრძლივი ფიქრის შემდეგაც არ არის მზად გარდაცვალებისათვის“—ამ სიტყვებით იხსნება კრებული ავტორის მოკრძალებით შევყავართ თავის საკუთარ სამყაროში.

ლოცვა

გადამარჩინე ტანჯული და უიმედო, როგორიც ვარ ისეთი, და ნუ იფიქრებ, რომ რაღაც შეგიძლია გადარჩენაზე მეტი. გადამირჩინე სული, გადამირჩინე ღიმილი და გადამირჩინე როგორიც ვარ, ისეთი, რომ ოდესმე სიყვარული შევძლო.

რომ ოდესმე გავიხსენო ჩემი სახელი—გადამარჩინე ფეხშიშველი და გათოშილი. მაპოვნინე ჩემი სიტყვა, რომელიც არ დაკარგულა. მაპოვნინე მე ჩემი ლოცვა, გადამირჩინე ხელისგულზე ნაპოვნი ჯვარი, გადამირჩინე ცრემლი და გადამარჩინე ისეთი, როგორიც ვარ...

■ ■ ■

რას ელი აქ ადამიანო, ამ ცივ, უმთვარო ღამეში, რას ელოდები.

იქნებ გახაფხულს, რომელიც არასოდეს დაბრუნდება, ის ჩვენ შევქმენით, შევთხიპნეთ და გამოვიგონეთ.

იქნებ სიყვარულს ელოდები.

ის აღარ მოვა, ის დაიკარგა, როგორც ქალაქში ობოლი ბავშვი.

იქნებ დედას ელოდები.

დედა არა გყავს.

ან იქნებ ჩიტებს, რომლებიც სადღაც გაფრინდნენ.

ან მარტოობას გაურბი.

დაე დაბრუნდეს გაზაფხული, სიყვარული, დედა და ჩიტები, ამ ცივ ღამეში ისინი გზას გაპოვნინებენ.

■ ■ ■

დაბადების დღის შემდეგ ვჩქარობდით სახლში დავბრუნებულყავი და ჩემი ოთახისათვის მომელოცა ჩემი (ან ჩვენი) ოცდამეერთე გაზაფხული, ნელა გავაღე კარი და გავოცდი ლალი ლეთოდიანის მოტანილმა ტიტებმა უკვე ყველაფერს გადააჭარბეს.

მაგრამ მე ველოდი...

■ ■ ■

როცა გარდაიცვალა ჩემი ბაბუა, ბებია, დედა—მამა და უამრავი ახლობელი, მე ვფიქრობ—სად სჯობია.

■ ■ ■

ერთხელ თბილისში ყოფნის დროს ერთმა ნაცნობმა მითხრა—რა ლამაზი გაზაფხულია ახლა ლეჩხუმში.

განცხადება

შპს „პოლიგრაფისტი“ აცხადებს თვითლიკვიდაციას.

ცაგერის სანეპიდსადგურის თანმაშრომლები თანაუგრძნობენ ლეილა გურგუჩიანს დედის

ნაზიკო გურგუჩიანის

გარდაცვალების გამო

თანაკლასელები თანაუგრძნობენ რომეო კალანდაძეს მამის

რომან თომას ძე კალანდაძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საფინანსო სამსახურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ იზო ბენიძეს მამის

მუხრან სვანიძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის რაიონის ვეტერანთა საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სამამულო ომის ვეტერანი

პარიმონ ხეცურიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ნანა შკუბულიანი, შვილები: გვანცა, თორნიკე თუთისანები, და ნათელა თუთისანი, სიძეები ბადრი ნინუა, ნოდარ მუშკუდიანი, დისშვილები ალეკო, კახა ნინუები, მამიდაშვილი პიერი ფუტკარაძე, დეიდაშვილები ლალი და ფისო ყრუაშვილები, სიდედრი ლამარა ჯაბერია, ცოლის და ნინო, ცოლის ძმა თემური შკუბულიანები ოჯახებით იუწყებიან

გია ოთარის ძე თუთისანის

გარდაცვალებას.

რედაქტორი	პასუხისმგებელი მდივანი	სარედაქციო კოლეგია:	მისამართი:	გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის სს „მანდარინას სტამბაში“
თამარ დავითულიანი	მზევინარ ძნელაძე	ეკა ყვირილიანი, მარინა სვანიძე, ეკა ბენდელიანი	ცაგერი, რუსთაველის №47 მობ: 899 951678	ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33 ტელ: 70780, 73499